



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
ექსპერტი

წევრები:

მაია მამისეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეკატერინე გურგენაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნათია ქოქუაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია კიპაროძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სვეტა გორგიშელი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ეკატერინე კვირკველია - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი
ექსპერტი

ელენე ხუციშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	224081749

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახალციხე. სოფელი თისელი
ფაქტობრივი მისამართი	ახალციხე. სოფელი თისელი
საფოსტო ინდექსი	0800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	akhtiseli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	598097660

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 12 ივნისის ბრძანება MES 4240000652875
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	11-12 ივლისი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ახალციხე, სოფელი თისელი/ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ახალციხე, სოფელი თისელი/ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების სსშუალ საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ახალციხე, სოფელი თისელი/ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11-12 ივლისს. სკოლა მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მუშაობს 10 მასწავლებელი. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 7 მოსწავლე (6 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 1 მოსწავლე საბაზო საფეხურზე). სკოლაში ფუნქციონირებს 4 ფინანსური კლასი. ამჟამად, დაწესებულება სწავლებას ახორციელებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე და აქვს სურვილი საშუალო საფეხურის დამატებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სკოლამ 2017 წლის 1 ივლისს შუამდგომლობისთვის მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MES 5 17 0000577391). ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების

დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია თისელის საჯარო სკოლისათვის საშუალო საფეხურის დამატების საკითხი (MES 4 17 0000830352 13/07/2017) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლას მიეცა უფლება „ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში 2018 წლის 15 სექტემბრიდან განახორციელოს მოსწავლეების მიღება საშუალო საფეხურზე“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღნიშნული სკოლის ფუნქციონირება სოფელ თისელში ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას დაუკავშირდება, რადგან სკოლა თემში ერთადერთი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულება და დასაქმების ადგილია.

სკოლაში ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ: სკოლის დირექტორთან, სამუშაო ჯგუფთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საქმისმწარმოებელთან, სკოლის მოსწავლეებთან და მოსწავლეთა მშობლებთან. საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩატარებინათ ინტერვიუ, რომელიც ვიზიტის პირველივე დღესვე შეუფერხებლად განხორციელდა. აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად შეხვდა დაწყებითი საფეხურის ქართული ენის, მათემატიკისა, ესთეტიკური აღზრდისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს და მიგნებები შეაჯერა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ ექსპერტებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 45	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სტანდარტი მეტწილად არის დაკმაყოფილებული შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით:

3.4; 3.5; 2.1; 2.2 შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები გაცემულია შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 3.4.1.1; 3.5.1.4; 2.1.2.3.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილად ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო	დაწესებულებას არ აქვს დასკვნა შენობის <u>მდგრადობასთან დაკავშირებული</u> (მაგრამ აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე ზრუნვა დაწყებულია 2024 წლის 17 აპრილიდან. კერძოდ, სკოლის შენობის მდგრადობის შემოწმებასთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება სამხარაულის საექსპერტო ბიუროში (ხელშეკრულება N - ე-209, საექსპერტო მომსახურების შესახებ 17/04/2024) და საკითხის დროულად მოგვარების მიზნით გაგზავნილია განმეორებითი წერილი (24/04/2024, MES 1 24 0000463278)).

¹ გარდ. მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.



	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	<u>შე საბამისობის გე გმით</u> , სკოლა აღნიშნული საკითხის მოგვარებას გეგმავს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაწესებულების <u>პ ან დუ სე ბ ით ალჭურ ვასთ ან</u> დაკავშირებით. წარმოდგენილი <u>შე საბამისობის გე გმით</u> დაწესებულება გეგმავს პანდუსების შეძენას სკოლის ბიუჯეტისა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარებით 2025 წლის 22 აპრილამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული	სკოლას <u>არ აქვს სრულყოფილი საბუნებრივ მეცნიერებების ლაბორატორია</u> (კერძოდ, შესაბამისი ინვენტარით, რეაქტივებით და თვალსაჩინოებებით აღჭურვილი იზოლირებული ოთახი). წარმოდგენილი <u>შე საბამისობის გე გმით</u> დაწესებულება სკოლის ბიუჯეტისა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო

	სწავლის შედეგების მიღწევას	განვითარების სააგენტოს დახმარებით 2025 წლის 22 აპრილამდე გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვას ყველა საჭირო რესურსით და ინვენტარით.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სასურველია, დაწესებულებამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვისას, გაითვალისწინოს ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვის, უსაფრთხო სკოლის ორიენტირების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარით აღჭურვილი წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმდებარე მოქალაქის აღზრდის საკითხები.
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას) ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სასურველია, გადაიხედოს სტრატეგიული გეგმა და განისაზღვროს მიზნის მიღწევის მოსალოდნელი შედეგები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა პროფესიული განვითარების საჭიროება დადგენის მექანიზმები;	სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშაოს და აღრიცხოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების	სასურველია, სკოლამ აიყვანოს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.



	დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	დაწესებულებას მიეცა რჩევა აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და აღნიშნული ინფორმაცია განსაზღვრულ ვადებში შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.
ინდიკატორი N... 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	სასურველია, დაწესებულებამ ყველა წიგნი დაამუშაოს საბიბლიოთეკო დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	<u>მათემატიკა</u> - სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, აისახოს კურიკულუმში (პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ.). დაწყებით საფეხურზე სასურველია საგნობრივ კურიკულუმში მიეთითოს მხოლოდ ისეთი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც რეალურად შესრულებადია.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	<u>სახე ლმწიფო ენ აში</u> საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სასურველია, კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება (სასკოლო სახელმძღვანელოს გარდა დამატებითი ტექსტები, ინტერნეტ რესურსები და ა.შ.). <u>ხე ლოვნ ე ბა</u> - (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე) — სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი ხელოვნებისა და მუსიკისათვის იყოს ერთნაირი. თემის სათაურში ცნება/ ქვეცნებები არ ფიგურირებდეს. კურიკულუმში შესული ცვლილებები აისახოს თავად კურიკულუმში ან კათედრის ოქმში. <u>მუსიკა</u> - სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა ყველა საფეხურზე, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში. <u>საბუნ ე ბისმე ტყვე ლო საგნ ე ბის</u> საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და წარმოდგენილია მხოლოდ ბიოლოგიის მე-10 კლასის კურიკულუმში, ხოლო მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებში



		შემოქმედებითი პროდუქტის ტიპის დავლებები არ არის წარმოდგენილი. სასურველია სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს შემოქმედებითი ტიპის დავლებებს.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	<u>მუსიკა, ხელოვნება</u> - სასურველია, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში და ცვლილებების ასახვა რომელიმე დოკუმენტში (თავად კურიკულუმში ან კათედრის ოქმში).
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	<u>ხელოვნება</u> - სასურველია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. <u>უცხოური ენები</u> - სასურველია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები (სამიზნე ცნებების მიხედვით). <u>ბუნებრივი მეცნიერებები</u> - სასურველია, დაწყებით საფეხურზე, (I-IV კლასი) მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შეფასება კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. (მსგავსად პირველი კლასისა). <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> - სწავლების სამივე საფეხურზე სასურველია შეფასების სისტემა მორგებული იყოს ესგ-სა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს, ასევე მოსწავლეთა საჭიროებებსა და თავისებურებებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა უმჯობესია შეიქმნას თითოეული თემის ფარგლებში, შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმეც. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები განისაზღვროს თემის ფარგლებში მისაღწევი ინდიკატორების მიხედვით და იყოს კონკრეტული

		საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით. <u>სახელმწიფო ენა</u> - სასურველია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები სახელმწიფო ენაში იყოს კონკრეტული, რათა უფრო კარგად იკვეთებოდეს, რომელი ქვესაკითხი შეფასებას ემსახურება ესა თუ ის კრიტერიუმი.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	<u>ხელოვნება</u> - სასურველია, კურიკულუმში გრიფირებული სახელმძღვანელოდან გვერდების მითითება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული გარემოებები, გადმოაგზავნა შესაბამისობს გეგმა და მტკიცებულებები და გამოასწორა ყველა ხარვეზი. კერძოდ.

ინდიკატორი 1.2.1.4 - 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არ მოიცავდა ინფორმაციას რესურსების და შესრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას რესურსების და შესრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ.

ინდიკატორი N 3.1.2.1 - სკოლის ექთანს, პირად საქმეში არ ჰქონდა ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის ექთანის ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

ინდიკატორი N N 2.1.2.1 - საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას დაწყებით საფეხურზე არ ჰქონდა წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი საგანში ჩვენი საქართველო. საბაზო საფეხურზე არ წარმოდგენია მეშვიდე და მეცხრე კლასის საგნობრივი კურიკულუმები ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში, ხოლო საშუალო საფეხურზე - მოქალაქეობასა და გეოგრაფიაში. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმები საგანში ჩვენი საქართველო, მეშვიდე და მეცხრე კლასის საგნობრივი კურიკულუმები ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში, ხოლო საშუალო საფეხურზე - მოქალაქეობასა და გეოგრაფიაში.

ბუნე ბისმე ტყვე ლე ბის მე-3 - მე-6 კლასების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემის ფარგლებში არ მუშავდება სტანდარტის შესაბამისი ყველა სამიზნე ცნება. მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში თემების რაოდენობა და სახელწოდებები არ ემთხვევა სტანდარტის მოთხოვნებს. მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არ არის განსაზღვრული ყველა ძირითადი საკითხი, მე-7 კლასი თემების ჩამონათვალში არ არის ყველა ის საკითხი, რაც დაფარავს სამიზნე ცნებას. მე-9 კლასის გადმოგზავნილი კურიკულუმი ეკუთვნის სხვა სკოლას და მასწავლებელს, კურიკულუმის ჩარჩოში არ ჩანს კომპლექსური ბუნების დავალების დაგეგმვა. ფიზიკა - დავალების იდეის გრაფის შინაარსი არ არის შევსებული. მე-7 და მე-8 კლასებში არ ჩანს შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული კურიკულუმები.

ინდიკატორი N 2.2.2.4. - მუსიკის და ხელოვნების მასწავლებლებს არ ჰქონდათ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, აღნიშნულ პოზიციებზე ვაკანსია გამოცხადებული არ ყოფილა. გამომდინარე აქედან, ესთეტიკურ მეცნიერებებში შემავალი საგნების მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები ვაკანსიის გამოცხადებასთან დაკავშირებით მუსიკის და ხელოვნების მასწავლებლების პოზიციაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი მისია, ხედვა და ღირებულებები.

მისია - „შევუქმნათ მოსწავლეებს გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის პიროვნული პოტენციალის გამოვლენის, ტოლერანტული სულისკვეთების და იდენტობის ჩამოყალიბების ხელსაყრელი გარემო.“

ხედვა - „ჩვენი გამორჩეული უნარი - მუდმივი თვითგანვითარებისკენ სწრაფვა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობა - 2030 წლისთვის დაგვიმკვიდრებს ადგილს საქართველოს საუკეთესო სკოლებს შორის“.

ღირებულებები - „გაცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით: პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება, პატიოსნება და კეთილსინდისიერება, სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა, მიუკერძოებლობა, ერთგულება, ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება, ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა, პროფესიული ზრდა და განვითარება, გუნდურად მუშაობა“.

სკოლის მისია და ხედვა ძირითადად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა, სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მისიი

ხედვისა და ღირებულებების გადახედვისას, გაითვალისწინოს ინკლუზიური გარემოზე ზრუნვა, უსაფრთხო სკოლის ორიენტირება და

მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ან ალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარით აღჭურვილი წიგნიერი, პროგრესული

სიახლეთა მიმდებარე მოქალაქის აღზრდის საკითხები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მისია და ხედვა სკოლას ეხმარება განსაზღვროს საკუთარი როლი თემში. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, ჯანსაღი და პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთ პატივისცემას. სკოლა ზრუნავს პედაგოგების პროფესიულ განვითარებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. მოსწავლეთათვის ტარდება სპორტული და საინფორმაციო-შემეცნებითი ღონისძიებები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიას. მასზე მუშაობა დაწყებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით 2024 წლის მარტიდან. სკოლის დირექტორის 31/03/2024 - ის ბრძანებით MES 999 24 0000000026 შექმნილია მისიასა და ხედვის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების ჯგუფი (დირექტორის, დირექტორის მოადგილის 8 მასწავლებლისა და 1 მშობლის შემადგენლობით). განსაზღვრულია სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავების სამოქმედო გეგმა, 16



რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: მეთოდოლოგიის შემუშავება, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა -

კითხვარების შევსება და დამუშავება, სკოლის SWOT ანალიზზე მუშაობა, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბება და მისი სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კითხვარები შედგენილია, შევსებულია (დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული კითხვარები) და სკოლის დირექტორის განმარტებით, გამოკითხულთა აზრი გათვალისწინებულია.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის - გამოკრულია სკოლის დერეფანში, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს შინაგანაწესთან ერთად კლასის მშობელთა კრებაზე.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. „სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლა“ სრულიად შეესაბამება სტატუსს კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №448 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ბრძანება სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ბრძანება#448;
- კითხვარები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (11/04/2024. MES 824000000034), რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და ინტერესებს. მასზე დაყრდნობით სკოლა ახდენს სტრატეგიულ დაგეგმვას, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას, ახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას. 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი. აღნიშნული დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა, სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა, სტრატეგიული გეგმის მომზადების ეტაპები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების საკითხები.

სკოლა მდებარეობს მაღალმთიან სოფელში, განიცდის მიგრაციას, მოსწავლეებს უჭირთ სხვა დასახლებულ პუნქტებში სიარული და იქ სწავლა, ამიტომ სკოლის მოსწავლეებს ხშირად საშუალო განათლების მიღების საშუალება არ ეძლევათ. სოფლის მიზანია სკოლას დაემატოს მესამე საფეხური, რათა ახალგაზრდებს საშუალო სკოლის დამთავრების საშუალება მიეცეთ. სკოლამ 2017 წლის 1 ივლისს შუამდგომლობისთვის მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MES 5 17 0000577391). ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია თისელის საჯარო სკოლისათვის საშუალო საფეხურის დამატების საკითხი (MES 4 17 0000830352 13/07/2017) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით,

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლას მიეცა უფლება „ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში 2018 წლის 15 სექტემბრიდან განახორციელოს მოსწავლეების მიღება საშუალო საფეხურზე“. 2023 წლის სექტემბერში სოფლის მოსახლეობამ შუამდგომლობისთვის კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე პარლამენტში განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს. მიმდინარე პერიოდში სკოლას სურვილი აქვს ავტორიზაციის გავლის და ამ გზით საშუალო საფეხურის დამატების.

სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტები შეიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს (ავტორიზაციის გავლა და ა.შ.).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლის 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან საჭირო ინფორმაციის შეგროვებაზე და სხვა.

სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სკოლის ძლიერი მხარეებია: პოზიტიური გარემო, თანამედროვე ტექნოლოგიები, დისციპლინა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაკვალიფიციური ადამიანური რესურსი, შემოქმედებითი ცხოვრება.

სუსტი მხარეებია: ინფრასტრუქტურა და ადაპტირებული ინკლუზიური გარემო.

შესაძლებლობებია: საშუალო საფეხურის დამატება, სკოლის სხვადასხვა სფეროში წარმატებული კურსდამთავრებულების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში.

საფრთხეებია: სოფლის მოსახლეობის გადინება და სოფლის მოუწყვრეგებელი ინფრასტრუქტურა.

ძირითადი სტრატეგიული მიზნებია:

- ✓ სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- ✓ კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- ✓ არაფორმალური განათლების გაძლიერება (მესამე საფეხურის დამატების შემდეგ სკოლა ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლების გაძლიერებას. უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას არაფორმალური აქტივობებში და მომავალში გეგმავს ითანამშრომლოს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან);
- ✓ ციფრული ტრანსფორმაცია;
- ✓ მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმების დანერგვა და განხორციელება.

სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს ინფორმაციას სტრატეგიული დაგეგმვის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს ს სტრატეგიულ გეგმას და განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგები (მათ შორის საშუალო საფეხურის დამატებასთან დაკავშირებით).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განსახორციელებელი აქტივობების, პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების პერიოდის შესახებ. წლის ბოლოს შეფასებულია სამოქმედო გეგმა და წარმოდგენილია შესრულების ანგარიში. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფორმაციას სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების, განხორციელების ვადების შესახებ და არ მოიცავს ინფორმაციას რე სურსების და შე სრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ.

არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა:

- ✓ სამოქმედო გეგმის შესწორებული ვარიანტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას რე სურსების და შე სრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ;
- ✓ პედსაბჭოს ოქმი N 6 (12/07/2024) განხორციელებული ცვლილების შესახებ;
- ✓ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 24 (12/07/2024) განხორციელებული ცვლილების შესახებ.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2023-2030წ.);
- 2023-2024 სასწავლო წლის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.



1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის, განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიით (11/04/2024, MES 8 24 0000000034) განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მექანიზმები. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისთვის ძირითადად იყენებს საგნობრივი კათედრების მიერ პედსაბჭოსთვის გაზიარებულ ანგარიშებს. მეთოდოლოგიაში პროცედურულადაა აღწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები: განსაზღვრულია მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგისა და შეფასების ვადები, სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და მათი გათვალისწინების საკითხები. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ (რომელსაც ახორციელებს დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც). სკოლის დირექტორის განმარტებით, მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძველად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სკოლის დირექტორი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს და მოხსენებით წარდგება პედაგოგიური საბჭოს წინაშე. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მასალები (ოქმები, ანგარიშები). შეფასებისას თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით აქვს შემდეგი სტატუსი: «შესრულდა», «ნაწილობრივ შესრულდა» ან «არ შესრულდა». სკოლის თანამშრომელთა განმარტებით, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა - განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის დირექტორის განმარტებით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები საჯაროა დაინტერესებულ პირებისთვის (მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით). ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეჯამება-შეფასების მიხედვით გეგმის ძირითადი საკითხები შეფასებულია დადებითად. ნაწილობრივ შესრულებულია შემდეგი საკითხები:

- ✓ ახალი სტანდარტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა და დანერგვა;
- ✓ ავტორიზაციისთვის მოსამზადებელი პროცესების მონიტორინგი;
- ✓ შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა;
- ✓ მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება;
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს არჩევა;
- ✓ სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება;
- ✓ სკოლის შენობაში მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- ✓ სკოლის შევსება ტექნიკური საშუალებებით პროექტორითა და ლეპტოპით;
- ✓ ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება);
- ✓ ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;
- ✓ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა;
- ✓ მონიტორინგისა და შეფასების გეგმისა და ინსტრუმენტების შემუშავება.

სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის facebook გვერდს, სადაც იტვირთება სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საინტერესო პროექტები/ღონისძიებები. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს სკოლაში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებას, რადგან ის იძლევა ცვლილებების შესაძლებლობას და ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების შემუშავების მეთოდოლოგია;

- 2023-2030 წლების სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებისა და შეფასების ანგარიში;
- დირექტორის წლიური ანგარიში;

- სასკოლო აქტივობების ამსახველი მასალა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურა (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 29/03/2024 ბრძანებით MES 7240000000024). სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტები, საგნობრივი კათედრები (მათემატიკა - საბუნებისმეტყველო, ქართული ენა - საზოგადოებრივი მეცნიერებები - უცხოური ენები, სპორტი-ესთეტიკა) და ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალი. შემუშავებულია დებულება, სადაც გაწერილია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები (დირექტორის, დ/მოადგილის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, დარაჯის, ექთნის, დამლაგებლის, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოს უფლება-მოვალეობები).
- სკოლა სარგებლობს ბრძანებით N1/კ - 80 (20/09/2019), სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში

მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია და დაწესებულების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოვალეობები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის განაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაცია თანამშრომლობითია და დაწესებულება ცდილობს მიმდინარე პროცესები ორიენტირებული იყოს თანამშრომელთა განვითარებაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- პედსაბჭოს დებულება;
- კათედრის დებულება;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის შექმნის ოქმი;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების საშუალებით (შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულის დებულებები, შრომითი ხელშეკრულებები). სკოლის დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ინფორმაციას. შემოწმდა სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლის ექთანს, რომელიც დასაქმებულია 2020 წლიდან, პირად საქმეში არ აქვს ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

არგუმენტირებული პოზიციისას სკოლამ წარმოადგინა სკოლის ექტანის შესახებ ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექტორის განმარტებით, დირექცია უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის ინფორმირებას მიმდინარე ცვლილებებისა თუ სიახლეების შესახებ, როგორც უშუალოდ, ასევე ელექტრონული/ციფრული საშუალებებით: მესენჯერ ჯგუფის, სატელეფონო ზარების განხორციელებით თუ შეტყობინებებით. სირთულეების დაძლევა ხდება საკითხის შესახებ ინფორმაციის ორგანიზებულად მიწოდებით. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი (01/12/2020, MES 02000001144823). ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, შეხვედრები და ა.შ.). სამომავლოდ სკოლა გეგმავს გადახედოს აღნიშნული ჯგუფის მუშაობას და შეიტანოს გარკვეული ცვლილებები. სკოლას საჭიროებებზე დაფუძნებული გარკვეულ პრევენციული ღონისძიებები აქვს გათვალისწინებული ცხრილის შედგენის დროსაც (შემთავსებელ და მცირესაათიან მასწავლებლებთან).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხდება “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტურ ადგილზე, კანონმდებლობის შესაბამისად, ცხადდება შიდა კონკურსი, ხოლო გარე კონკურსისთვის ხდება საკონკურსო კომისიის წევრების შერჩევა. წინასწარ შემუშავებულია კითხვები გასაუბრებისთვის. დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით (pedagogi.ge) და სკოლის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხდება ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება (სკოლის თანამშრომლების უმეტესობა წარმოადგენს სასკოლო თემს, რომლებიც უშუალოდ ავრცელებენ ინფორმაციას ვაკანსიის შესახებ), განცხადება იკვრება სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო სივრცესა და შესასვლელ კარზე. კონკურსით მიღებულ თანამშრომელთან გამოსაცდელი ვადით ფორმდება ხელშეკრულება. ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოქვეყნებული ჰქონდა 2 ვაკანსია ბიოლოგიისა და ფიზიკის მასწავლებლების ვაკანტური ადგილის შესავსებად (აღნიშნული ვაკანსიების შესავსებად ღია კონკურსი გამოცხადებული იყო 2023 წლის სექტემბერშიც, მაგრამ სოფელში არსებული პრობლემები, განსაკუთრებით უგზოობა, ხელს უშლიდა ვაკანსიის შევსებას ღია კონკურსით. სკოლის დირექტორის განმარტებით, ახლა უკვე მოწესრიგებული გზა ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და კონკურსანტების თისელის სკოლაში მუშაობით დაინტერესებას).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული ჰყავს დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, დარაჯი და დამლაგებელი, (შეთავსებით დირექტორის მოადგილე და ბიბლიოთეკარი), 1 მენტორი, 6 უფროსი და 3 უსტატუსო მასწავლებელი (რომლებიც ახალი კადრის მოძიებამდე ხელშეკრულებითაა აყვანილი). სკოლას ასევე არ ჰყავს კვალიფიციური კადრი ხელოვნებაში, მუსიკაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში. სკოლის საბაზო საფეხურზე დასაქმებულია მათემატიკის მენტორი მასწავლებელი, რომელიც ონლაინ ატარებს გაკვეთილებს (თუმც, ესწრება შეხვედრებსა და მონაწილეობს ყველა დაგეგმილ პროცესშიდა როგორც შესაბამისმა საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, მოწესრიგებული და ერთ-ერთი საუკეთესოა მათემატიკის კურიკულუმები, რესურსები და გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები). ადგილზე დათვალიერდა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემები--Eflow და eschool, დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომელიც შესაბამისობაშია სკოლაში დასაქმებულ პირთა პოზიციებთან და ფუნქცია-მოვალეობებთან. სკოლის მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებული არიან ძირითადად უფროსი მასწავლებლის სტატუსის ადამიანები და ასევე, უსტატუსო მასწავლებლები. დაწესებულებაში

დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. სკოლის დირექტორის განმარტებით, დირექცია საჯაროობის, სამართლიანობის, თანასწორობის პრინციპების დაცვით, თანამშრომლების შესაძლებლობების გათვალისწინებით ხელმძღვანელობს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათედრებზე პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და ჩართულები არიან კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ერთად გეგმავენ პროექტებს. გაწერილია სამეურვეო საბჭოს უფლება - მოვალეობები. საბჭოს შემადგენლობაშია 3 მასწავლებელი და 1 მშობელი, შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო 6 მასწავლებლის შემადგენლობით. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (01/12/2020, MES 0200001144823). ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და ახორციელებენ უკუკავშირს. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამომავლოდ სკოლა გეგმავს გარკვეული ცვლილებების შეტანას აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების პროცედურა. სიტყვიერი შექების გარდა, არსებობს პრემიის გაცემის გამოცდილება. კოლეგებს შორის ხშირია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შემთხვევები, მაგალითად, USAID - ის პროექტში - „ლიდერი მასწავლებლები“- ჩართულმა პედაგოგმა სამუშაო შეხვედრებზე პროექტში მიღებული გამოცდილების კოლეგებს გაუზიარა და სხვა. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კონკურსის გამოცხადების წესი და ვაკანსიის დოკუმენტები;
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- შრომითი ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები;
- USAID - ის პროექტი - „ლიდერი მასწავლებლები“ (მასალები);
- საშტატო განრიგი;
- გაკვეთილების შეფასება და უკუკავშირი;
- პირადი საქმე;

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ემსახურება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. შემუშავებულია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები (დებულება), გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები და ა.შ. სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება ჯგუფის წევრების მიერ. თანამშრომლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადიან ტრენინგებს (მაგალითად, ბუღალტერი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით გადის ტრენინგებს და წარმატებით ნერგავს პრაქტიკაში). მასწავლებლები ჩართულები არიან „USAID საბაზისო განათლების პროგრამაში“ (ლიდერ მასწავლებლებად), ესწრებიან შეხვედრებს საგნობრივი მიმართულებით. თუმც, სკოლას შემუშავებული არ აქვს თანამშრომელთა

პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა და სასურველია, დოკუმენტურად გაწეროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში დასაქმებული პირების საჭიროებების კვლევა და დადგენა ხდება საგნობრივ კათედრებზე, ურთიერთდასწრების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ანალიზით. კლასის დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე დგინდება კლასების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ზოგადი შედეგები/მიღწევები, რომელიც განიხილება კათედრის სხდომაზე, გამოვლენილი საჭიროებების გასაუმჯობესებლად იგეგმება შესაბამისი აქტივობები (მეცადინეობები, შეხვედრები და სხვა).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ. ეს ხელს უწყობს, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, Teams - ის პლატფორმაზე შექმნილია მასწავლებელთა ჯგუფი. მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს პედაგოგთა კარიერულ წინსვლას. სკოლის სხვა პერსონალთან (გარდა ბუღალტრისა) ნაკლებად დგინდება მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, მაგრამ სამომავლოდ, სკოლა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით გეგმავს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა. კერძოდ, სკოლაში მოქმედ კოლეგიალურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. როგორც სკოლის დირექციამ განმარტა, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დარეგულირებულია სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი. მაგ., ახალი თანამშრომლის წარდგენა, კოლეგების საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და სხვა.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლაში შექმნილია სივრცეები, სადაც ხდება მასწავლებლების ინიციატივებისა და იდეების წარმოდგენა და რეალიზება. სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით (მაგალითად, სამასწავლებლოში არის ლეპტოპები, პროექტორი, ქსეროქსის აპარატი). სკოლა ეხმარება მასწავლებლებს დაესწრონ

შეხვედრებს საგნობრივი მიმართულებით, მასწავლებლები ჩართულები არიან „USAID საბაზისო განათლების პროგრამაში“ ლიდერ მასწავლებლებად და სხვა. სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა ინოვაციურ წამოწყებებს და ახდენს მათ წახალისებას. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში. დაწესებულებაში გამოყენებულია წახალისების შემდეგ ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია საპრემიო მუხლი, რომელიც გაიცემა კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმი N1;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- დამრიგებლების ანგარიში;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ოქმი შინაგანაწესის დამტკიცებაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის, ეროვნულ სასწავლო გეგმის, სკოლის შინაგანაწესის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ყოველივე აღნიშნული ეფუძნება სკოლის მისიისა და მიზნების განხორციელებას. 01/12/2020 ბრძანება N 54-ით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი (5 წევრის შემადგენლობით), რომელსაც აქვს სამოქმედო გეგმა, დებულება, დასწრების ფორმები, შეფასების რუბრიკები და დასწრების ოქმები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სასწავლო პროცესის მართვას. აღნიშნული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება სასკოლო გეგმით, შინაგანაწესით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. იმ შემთხვევებზე, რომელთა განხილვაც არ განეკუთვნება დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას, განიხილავს სკოლის დირექტორი და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. გასაჩივრების სისტემა არის გამჭვირვალე. ამასთანავე, დისციპლინური სახდელის ადრესატს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის დაკისრებული სახდელი შესაბამის ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, მოსწავლის,მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი (01/04/2024, MES 224 0000000029). გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებული პირებისა და სასკოლო საზოგადოების უფლებების დასაცავად სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნილია სკოლის შინაგანაწესი (რომელიც არეგულირებს სასკოლო პერსონალის, მოსწავლეთა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებს (სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის) და მშობელთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგია). სკოლაში ასევე შექმნილია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინარული კომისიის შექმნის ოქმი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების ოქმი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგია).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის განმარტებით, საჯარო და მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის ფოიეში საინფორმაციო სივრცეში. გარდა ამისა სკოლა იყენებს messenger ჯგუფებს (პერსონალისთვის, კათედრებისთვის, კლასებისთვის, მშობლებისთვის), კლასებისთვის შექმნილია თიშისი ჯგუფები. აქტიურად გამოიყენება სკოლის მეილი, ელექტრონული ჟურნალი, კლასის კრებები, საინფორმაციო შეხვედრები, სატელეფონო შეტყობინებები და ზარები.

სკოლაში არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სკოლის ოფიციალური ფეისბუკ-გვერდი: [h https://www.facebook.com/](https://www.facebook.com/) სკოლის ვებ-გვერდი [h https:// skolebi -adm in.em is.ge/d ash board](https://skolebi-adm.in.em.is.ge/d/ash/board) და ელექტრონულ ფოსტა: akhtiseli@mes.gov.ge. წარმომადგენენ სკოლის გარე

კომუნიკაციის ძირითად წყაროებს და უზრუნველყოფენ ინფორმაციის დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა. კერძოდ, სკოლაში მოქმედ კოლეგიალურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში (6 წევრი), გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

- ✓ 2023 წლის 07 ივლისს წერილი (MES 423 0000855970) გაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილების შესაბამისად საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით;
- ✓ შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის პოლიტიკა (28/03/2024, ბრძანება MES 5240000000022);
- ✓ შემუშავებული, დამტკიცებული (06/07/2023, MES 6 23 0000000015) და შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (17/07/2023, MIA 02302051732) ;
- ✓ შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და გაწერილია შტაბის წევრების ფუნქციები (10/06.2023, ბრძანება N 19);
- ✓ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი, მაგრამ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია, ბრძანებით (16/01/2019, MES 219 0000035135) განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი (სპორტის მასწავლებელი) და 1 დარაჯი;
- ✓ სკოლის ტერიტორია შემოღობილია, შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 6 ერთეული ვიდეო კამერა, ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომელიც დამონტაჟებულია სამასწავლებლოში და ვიდეოჩვენება იყო საჯარო (სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული საკითხი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით და ვიზიტის პერიოდში აღნიშნული პრობლემა მოგვარდა).

დაწესებულებას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული კადრის აყვანასთან დაკავშირებით.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და ცეცხლმაქრები. საევაკუაციო გასასვლელი ნიშნები. სკოლა ამ ეტაპზე გათხოვნი სისტემად დროებით იყენებს შეშის ღუმელებს, ყველა საკლასო ოთახში, დერეფანში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ექთნის ოთახში, სააქტო დარბაზსა და სპორტულ დარბაზში დამონტაჟებული კვამლის აღმომჩენი დეტექტორები და სიგნალიზაცია, ზრდის სკოლის უსაფრთხოებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N176 (22/04/2024) დგინდება, რომ ჩატარდა შენობის სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა, შენობა ძირითადად აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს, გაცემულია მხოლოდ 3 რეკომენდაცია, მათ შორის, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად შენობის ფანჯრებიდან მოსახსნელია ყრუ გისოსები ან შეცვლილია გალუბადი გისოსებით.

დაწესებულებას არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე ზრუნვა დაწყებულია 2024 წლის 17 აპრილიდან. კერძოდ, სკოლის შენობის მდგრადობის შემოწმებასთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება სამხარაულის საექსპერტო ბიუროში (ხელშეკრულება N - ე-209, საექსპერტო მომსახურების შესახებ 17/04/2024) და განმეორებითი წერილი აღნიშნული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით (24/04/2024, MES 1 24 0000463278).

შესაბამისობის გეგმით სკოლა აღნიშნული საკითხის მოგვარებას გეგმავს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტი - სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მეთოდები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული პირველადი დახმარების კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, შირმა, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, გადასატანი/მოხილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი დახმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი. სკოლას ემსახურება 1 კვალიფიციური ექთანი. სკოლაში წარმოდგენილია შემთხვევების აღრიცხვისა და მედიკამენტების გაცემის ჟურნალი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო

მომსახურების ნომერი.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას მანდატური არ ჰყავს. შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელიც წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირთან ერთად არეგულირებს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. შემუშავებული და დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეგულირების წესი) და გამოყოფილია ამ წესის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას ჩატარებული აქვს საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის აქტივობები შემდეგ თემებზე: ბულინგის და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. სკოლაში ეწყობა ნამუშევრების გამოფენა, სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებული და დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები. სკოლას ემსახურება 1 დამლაგებელი. თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია ხელის დაბანის და ჰიგიენის წესების დაცვის ინსტრუქციები. სკოლა უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით და სანიტარულ - ჰიგიენური საშუალებით. 3 სველ წერტილში (1 გოგონების ტუალეტი, 1 ვაჟების ტუალეტი, 1 ადაპტირებული ტუალეტი) დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპონები, ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერები და ურნები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია განათების უწყვეტი მიწოდებით და ბუნებრივი ვენტილაციით.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის დირექტორის განმარტებით პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი (რაც ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს). დაწესებულებას მიეცა რჩევა აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და აღნიშნული ინფორმაცია (დანაშინიდან 10 დღის ვადაში) აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. სკოლის დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლის ხელთ არსებული მონაცემები დაცულია შემთხვევითი, ან

უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოქვეყნებისგან. საქმისწარმოებით წესით განსაზღვრულია დაცვის მექანიზმები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას, მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8. დირექტორის და პედაგოგთა განმარტებით, სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესაბამისად, სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი (სკოლის დირექტორის ბრძანებით მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;

- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ბრძანება სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- კამერების შესყიდვის დოკუმენტები

- ხელშეკრულებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. კერძოდ, არის 2 სართულიანი (საერთო ფართობია 364,69 კვ.მ.), შენობას ფლობს უზურფრუქტის საფუძველზე და დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (62.04.61.044). 5 საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით (სულ 45 მერხი და სკამი), მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით. სკოლას აქვს 1 სპორტული დარბაზი ფართით 42,33 კვ.მ. სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარით: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთებით, ფრენბურთის ბადით, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის

ბურთებით და სხვა. სკოლაში ასევე არის სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ტექნიკური პერსონალის დამხმარე ოთახი, ექთნის კაბინეტი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას ასევე აქვს სარეაბილიტაციო ფართი (რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საკლასო ოთახებად). სკოლის ინფრასტრუქტურა, ძირითადად რეაბილიტირებულია.

ამჟამად სკოლაში სწავლობს 7 მოსწავლე. საფეხურის დამატების შემთხვევაში სკოლას აქვს ფართი, სადაც განათავსებს საკლასო ოთახებს.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ორიენტირებულია სასკოლო გარემოს უკეთესად მოწყობაზე, რათა უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის კომფორტულ და უსაფრთხო სივრცე. სკოლაში არის სააქტო დარბაზი, 1 კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა. სააქტო დარბაზი ხშირად ეთმობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებს. ბიბლიოთეკით სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს მცირე ზომის ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდით. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, სკოლის წიგნადი ფონდი სრულად არ არის დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით (სკოლის ბეჭდით არ არის დამოწმებული ყველა წიგნის მე-17 გვერდი). სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს გრიფინიჭებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომლებიც ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი.

დაწესებულებას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის წიგნად ფონდს და მხატვრული ლიტერატურა დაამუშაოს ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სველი წერტილი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისათვის. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს პანდუსი, მაგრამ უახლოეს პერიოდში გეგმას მის შეძენას (მისი შეძენა გაწერილია სკოლის სტრატეგიულ გეგმაშიც). დაწესებულებას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, პანდუსების შეძენა და მონტაჟი განხორციელდება სკოლის ბიუჯეტით და სსსმ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარებით 2025 წლის 22 აპრილამდე.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის დაცული

ეზო, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო ქმნის შესაძლებლობას მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ხშირად იმართება პრეზენტაციები, საინტერესო ღონისძიებები, პრეზენტაციები. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული 1 კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის როგორც საგაკვეთილო დროს, ისე გაკვეთილების დასრულების შემდეგ. სკოლას გააჩნია კომპიუტერები, 1 პროექტორი, პრინტერები, სკანერი. ინტერნეტით უზრუნველყოფილი გარემო. ყველა მასწავლებელს აქვს პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს შემუშავებული ციფრული განვითარების გეგმა/გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სკოლაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების განაწილების სივრცეები, გამოყენებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ, ადგილისა და დროის მითითებით.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სივრცის მოწყობის შესახებ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოების წესის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ ბრძანების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით შემუშავებული სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის მიხედვით. დაწესებულებას ჰყავს საქმის წარმოებაზე

პასუხისმგებელი პირი. ძირითადი საქმის წარმოება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული სისტემით „Eflow“, „email.mes.gov.ge“-სა და eschool.emis.ge-ზე. საქმისმწარმოებლის მიერ ხდება ფიზიკური (მატერიალური) სახით შემოსული კორესპონდენციის კანონით განსაზღვრულ ვადებში დახარისხება, გატარება, დამუშავება, სკოლის თანამშრომლებისათვის მიწოდება, დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ ვადებში შესრულების პროცესის კონტროლის გაწევა და სხვა.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2 სკოლაში საქმისწარმოება ძირითადად მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. კერძოდ, მოქმედებს Eflow-ს, eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათებისა და ბრძანებების ატვირთვა, აღნიშნულის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლას აქვს მოქმედი და სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. დაწესებულებაში ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის. სკოლა ანგარიშვალდებულია დროულად მოახდინოს თავისი საქმიანობის შეჯამება(მაგალითად 1-ლი და მე-9 კლასების დამთავრების დროული აღრიცხვა და ა.შ.).

საქმისმწარმოებელს აქვს მუდმივი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი და ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის (უნარები, სამუშაო სივრცე, რესურსები და სხვა).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- შემოსული და გასული წერილების რეესტრი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საჯარო დანიშნულების ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე და ასევე სკოლის ფეისბუკ-გვერდზე და ვებ გვერდზე <https://skolebi-admin.emis.ge/dashboard>.
ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. სკოლის დირექტორის განმარტებით, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირების მიერ. ინფორმაციის გამოქვეყნებამდე კონსულტაციას გადიან დირექტორთან. სკოლის ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროგრამების, აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ასევე ფოიეში, საინფორმაციო დაფებზე.
ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სკოლა მომხმარებელიდან ინფორმაციას იღებს შემდეგი წყაროებიდან: განცხადებები, messenger ჯგუფები, დირექციასთან, დამრიგებელთან, მასწავლებელთან შეხვედრით და სხვა. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი განიხილავენ აღნიშნულ ინფორმაციას და იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლას აქვს facebook-გვერდი, ასევე სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლას ვებ გვერდზე ასახული აქვს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაციები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან ურთიერთობის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- სკოლის facebook-გვერდი,
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. კერძოდ, სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლას აქვს საკუთარ ანგარიშზე ვაუჩერული დანაზოგი, რომელსაც იყენებს წლების მანძილზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემებისა და სასკოლო აქტივობების განხორციელებისათვის. ყოველწლიურად იქმნება ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (სამეურვეო საბჭოს სახით). ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. წელიწადში ერთხელ სკოლა ახორციელებს ფინანსურ ინვენტარიზაციას, სკოლა ყოველი წლის ნოემბერში გეგმავს მომავალი წლის შესყიდვებს და ამტკიცებს მას (საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება). ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვისა და კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- წლიური ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების ბრძანების დამტკიცების შესახებ;
- ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად შექმნილი და გამოყენებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოსწავლეთა უფლებებისა და გარანტიების დაცვა. სკოლის შინაგანაწესს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ სკოლის მიერ ორგანიზებულ მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსების აღსრულებას (რაც არეგულირებს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებს). სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მშობელთა ინფორმირების საკითხებს. სკოლა გეგმავს გაზარდოს კლასის საათების რაოდენობა, როგორც სკოლა აღნიშნავს, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებს უკეთე გააცნობიერონ საკუთარი და სხვათა უფლებამოვალეობები. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა სასკოლო და საკლასო პროექტებში, მოსწავლეებს აქვთ გასაჩივრების უფლება (მაგრამ ცალკე დამტკიცებული დოკუმენტი შედგენილი არ აქვთ). ყველა დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციას.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასკოლო სივრცეში შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ყველა კლასში გამოკრულია მოსწავლეების აქტიური ჩართულობით შემუშავებული ქცევის წესები, სკოლაში 7 მოსწავლის მშობელთაგან 6 თანამშრომელია და შესაბამისად საქმის კურსში სრულად არიან სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობლებსა და მოსწავლეებს მეილებით ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაცია, სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული კლასის დამრიგებელი იწვევენ მშობლებს და კრებაზე აცნობენ სკოლის საერთო კულტურას, მოსწავლეთა ქცევის და ეთიკის კოდექსს, მოსწავლეების უფლება მოვალეობებს და შინაგანაწესს. საკლასო კრებაზე ხდება აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხების გაცნობა და განხილვა. სკოლას გააჩნია Facebook გვერდი.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლაში ვიზიტისას დადგინდა, კანონის შესაბამისად, მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლას აქვს გამოცდილება მობილობით გადმოსული მოსწავლის მშობელთანაც გააფორმოს ხელშეკრულება. სკოლის დირექტორის 2022 წლის 22 ივნისის ბრძანება

N27-ის საფუძველზე სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) დებულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიები და ნაბიჯები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე / N2-05.09.2019წ./;
- მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) დებულება /ბრძანება N27-22.06.22წ./;
- მშობელთა კრების ოქმი/ოქმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანების შესაბამისად“ განსაზღვრავს თისელის საჯარო სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. საფეხურის დაძლევის წესი განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება აგრეთვე მობილობის წესიც. სკოლის დირექტორის 2024 წლის 31 მარტის ბრძანება N28-ის საფუძველზე სკოლაში დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი -ჩარჩო. აღნიშნული წესი არეგულირებს სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის საჯარო სკოლის (შემდგომში „სკოლა“) მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის

განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლე დადგენილი წესით რეგისტრაციას გადის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ ირიცხება სკოლაში. სკოლაში გამოიცემა ბრძანებები მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და მათი აკადემიური მოსწრების აღიარებაზე.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 თებერვლის ბრძანება N12-ის საფუძველზე სკოლას დამტკიცებული აქვს „მოსწავლის ტრანზიციის გეგმა“, რომლითაც არეგულირებს ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხსა და პროცედურას. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონის შესაბამისად. დაინტერესებული პირს ეცნობება ინფორმაცია პროცედურებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ უშუალოდ პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. ჩარიცხვა ხორციელდება მშობელთა განცხადების საფუძველზე დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სტატუსის შეწყვეტისას მშობელს ეცნობება წერილობით. მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაცია საჯაროა და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ სხვადასხვა საინფორმაციო არხიდან (მაგ.; სკოლის სოციალური გვერდი, საინფორმაციო დაფა და ა.შ). მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს სკოლაში არეგულირებს სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესი.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელ. ჟურნალის კომენტარები, მესენჯერ ჯგუფი. სსგ გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე, საინფორმაციო დაფაზე. მშობელი/დაინტერესებული პირი ნებისმიერ დროს იღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ. გავრცელებული-გაზიარებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და სკოლა გეგმავს, რომ ამისათვის აქტიურად გამოიყენოს სამომავლოდ თავისი სოციალური ქსელი. სკოლას დამატებითი ფასიანი მომსახურება არ აქვს.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირთათვის კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებგვერდზე სოციალურ ქსელში, ამასთანავე, სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფაზე. გარდა

ამისა, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების მიერ საჭიროებისამებრ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ზემოთ მოცემული სხვადასხვა საკითხის შესახებ.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ტრანზიციის გეგმა /N12 ბრძანება 29.02.24წ./;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი-ჩარჩო /N28 ბრძანება 31.03.24წ./;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტირებას ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამით და შინაგანაწესით. მექანიზმები გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის შინაგანაწესში. კლასის დამრიგებლები ყოველი ახალი მოსწავლის მიღების დროს ადაპტირების მიზნით ატარებენ სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად, პირველი კლასის და მობილობით გადმოსული მოსწავლეებისათვის იგეგმება სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა, ამ კუთხით სკოლას კონკრეტულად გაწერილი ტრანზაქციის გეგმა აქვს, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 29 თებერვლის ბრძანება N12-ის საფუძველზე. მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებლები ეხმარებიან კლასთან კონტაქტის დამყარებაში, აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ათვალთვლებინებენ სკოლას. სკოლა მცირეკონტინგენტიანია და შესაბამისად ძალიან უადვილდებათ ყველა მოსწავლესთან კომუნიკაცია და პირიქით.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, დამრიგებლის მიერ პირველკლასელების სკოლაში მოწვევა პირველად ხდება მშობლებთან ერთად და სწავლის დაწყებამდე (სკოლის შენობის გასაცნობად). წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოება გეგმას ერთობლივ საკლასო თუ სასკოლო აქტივობებს მშობელთა ჩართულობით, აწყობენ გასვლით ექსკურსიებს. ბავშვებს მოსწონთ აქტიური სასკოლო ცხოვრების წესი, სკოლაში არსებული კლიმატი პოზიტიური და მხარდამჭერია. სასკოლო აქტივობები გაზიარებულია სკოლის Facebook-გვერდზე და მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

